საბაკალავრო პროგრამა საზოგადოებრივ გეოგრაფიაში

პროგრამის კოორდინატორი:
გიორგი გოგსაძე - სრული პროფესორი

პროგრამა შეადგინა:
გიორგი გოგსაძე - სრული პროფესორი
იოსებ სალუქვაძე - სრული პროფესორი

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: სოციალური მეცნიერების ბაკალავრი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში – BA in Social Sciences (Human Geography)

მიზანი

პროგრამის მთავარი მიზანია საზოგადოებრივი გეოგრაფიის (Human Geography) კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც შეეძლებათ მსოფლიოში, მის ცალკეულ რეგიონებსა და ქვეყნებში არსებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემებისა და პროცესების სივრცითი/გეოგრაფიული გამოვლინებების ახსნა, შეფასება და ზოგადი ანალიზი.

საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამა მოწოდებულია სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა:

- დაეუფლოს ძირითადი სპეციალობის - საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაზისო კურსებს;
- შესწავლოს და გამოყენოს საზოგადოებრივი გეოგრაფიის თეორიული საფუძვლები და კვლევის მეთოდები;
- შეიძინოს სამეცნიერო ლიტერატურის და სტატისტიკური მონაცემების მოგროვების, განზოგადების და პირველადი ანალიზის უნარ-ჩვევები. დაეუფლოს გეოინფორმაციული სისტემების / ტექნოლოგიების საფუძვლებს;
- აღიქვას საზოგადოებისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთქმედების მნიშვნელოვანი ასპექტები და მისი შედეგები;
- დაეუფლოს ცოდნას ბუნებრივი რესურსების ეფექტური გამოყენებისა და მართვის პრინციპების შესახებ;
- დადგინოს სოციალურ-კულტურული სფეროსა და საზოგადოების ეკონომიკური საქმიანობის ტერიტორიული განლაგების კანონზომიერებების; ტურისტულ-რეკრეაციული და სხვა არასაწარმოო სფეროების (მესამეული და მეოთხეული დარგების) ტერიტორიული სისტემების ფორმირებისა და ფუნქციონირების გეოგრაფიული პრინციპების თავისებურებები;
- მიიღოს ცოდნა მოსახლეობის მოძრაობის, სტუქტურის, ხარისხის და განსახლების ტერიტორიული თავისებურებებისა და კანონზომიერებების შესახებ;

- შესწავლოს და გააანალიზოს საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციისა და მასში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების სივრცითი თავისებურებები;
- შეიძინოს ცოდნა მსოფლიოს, მისი რეგიონებისა და ცალკეული ქვეყნების, განსაკუთრებით კი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თავისებურებებისა და კანონზომიერებების შესახებ;
- შეისწავლოს ორი უცხო ენა;
- შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი.

შედეგები

საბაკალავრო პროგრამის გავლის შედეგად სტუდენტებს გამოუმუშავდებათ:

1. საზოგადოებრივი გეოგრაფიის ძირითადი კონცეფციების, გეოგრაფიულ გარემოში მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების სივრცითი თავისებურებებისა და კანონზომიერებების, გლობალური ძვრებისა და საზოგადოებრივი განვითარების ზოგადი ტენდენციებისა და ტერიტორიული/რეგიონული სხვაობების აღქმისა და განსაზღვრის უნარ-ჩვევები;;
2. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ტერიტორიული სისტემების, საზოგადოებრივი განვითარების პროცესებისა და მოვლენების ახსნისა და ზოგადი ანალიზის; საზოგადოებრივ-გეოგრაფიული მონიტორინგის, პროგნოზირების, ექსპერტიზის და მართვის/მენეჯმენტის საფუძვლების განზოგადების უნარ-ჩვევები;;
3. საზოგადოებრივ გეოგრაფიულ კვლევებში ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების გამოყენება; გეოგრაფიული ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, შენახვის, წარმოდგენის, ასევე გეოინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძვლების გამოყენების უნარ-ჩვევები:.
4. წერითი და ვერბალური კომუნიკაციების უნარ-ჩვევები;

საბაკალავრო პროგრამა წარმოადგენს აკადემიურ საფუძველს იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სწავლას გააგრძელებენ საზოგადოებრივი გეოგრაფიის ან სხვა სამეცნიერო დისციპლინის მაგისტრატურაში. კურსდამთავრებულებსებს, რომლებიც მოღვაწეობას გააგრძელებენ არასამეცნიერო სფეროში, მიღებული ცოდნა დახმარებას გაუწევს პრაქტიკულ საქმიანობაში.

დასაქმების სფერო

საზოგადოებრივი გეოგრაფიის ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის შესაძლო სფეროებს წარმოადგენს: სამთავრობო ორგანიზაციები (მათ შორის დიპლომატიური სამსახურები); საგანმანათლებლო, გეგმარებითი, გარემოსდაცვითი და ტურისტული დაწესებულებები; არასამთავრობო სექტორი და კომერციული სტრუქტურები.

საზოგადოებრივი გეოგრაფია (Major) - კურიკულუმი

№	სასწავლო კურსი	ფორმა	სტატუსი	დონე	საშემოდგომო	საგაზაფხულო	კრედიტი
	სავალდებულო კურსები		**სავალდებულო**	**I-III**			**95**
1	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	ლექ/სემ	სავალდებულო	**I**	X ან	X	5
2	შესავალი გეოინფორმაციულ სისტემებში	ლექ/სემ	სავალდებულო	II		X	5
3	ეკონომიკური და სოციალური კარტოგრაფია	ლექ/სემ	სავალდებული	II	X		5
4	მოსახლეობის გეოგრაფია	ლექ/სემ	სავალდებულო	II		X	10
5	ზოგადგეოგრაფიული საველე-საწარმოო პრაქტიკა	საველე პრაქ.	სავალდებულო	II		X (ივლისი)	5
6	ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია	ლექ/სემ.	სავალდებულო	II		X	5
7	ეკონომიკური გეოგრაფიის საფუძვლები და მსოფლიო მეურნეობის გეოგრაფია	ლექ/სემ	სავალდებულო	II		X	10
8	საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია	ლექ/სემ	სავალდებულო	III	X		5
9	მაკროეკონომიკა	ლექ/სემ	სავალდებულო	III		X	5
10	ტურიზმისა და რეკრეაციული გეოგრაფიის საფუძვლები, მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია	ლექ/სემ	სავალდებულო	III	X		10
11	II უხო ენა		სავალდებულო		X	X	20
12	საბაკალავრო შრომა	ნაშრომი	სავალდებულო	**III**		X (ივნისი)	10
	სავალდებულო-არჩევითი კურსები						**25**
13	სოციალური და კულტურის გეოგრაფია	ლექ/სემ	სავალ/არჩევითი	II		X	5
14	ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია	ლექ/სემ	სავალ/არჩევითი	II		X	10
15	რეგიონის კომპლექსურ-გეოგრაფიული კვლევა	საველე. პრაქ.	სავალ/არჩევითი	III		X (ივლისი)	5
16	ქალაქების გეოგრაფია და გეოურბანისტიკა	ლექ/სემ	სავალ/არჩევითი	III		X	5
17	მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია	ლექ/სემ	სავალ/არჩევითი	II	X	X	10
18	ახლო აღმოსავლეთის გეოგრაფია	ლექ/სემ	სავალ/არჩევითი	III	X		5
19	შედარებითი პოლიტიკა	ლექ/სემ	სავალ/არჩევითი	II	X		5
20	პოსტსაბჭოთა სივრცის გეოგრაფია	ლექ/სემ	სავალ/არჩევითი	**III**		X	5
21	პოლიტიკური იდეოლოგიები	ლექ/სემ	სავალ/არჩევითი	III		X	5
	სულ - Major						**120**

<u>საბაკალავრო კურსების ანოტაციები</u>

კურსი: **საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი**
ლექტორი: ***სრული პროფესორი იოსებ სალუქვაძე***

ეს არის გეოგრაფიული დისციპლინის საბაზო კურსი. მისი ამოცანაა სტუდენტებს გააცნოს გეოგრაფიისა და კერძოდ საზოგადოებრივი გეოგრაფიის სტრუქტურა, ძირითადი კონცეფციები და ცნებები.

კურსი განმარტავს საზოგადოებრივი გეოგრაფიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის, მნიშვნელობას, აქტუალობას, მიზანსა და ამოცანებს, მეთოდურ აპარატსა და შიდა სტრუქტურას, კავშირს სხვა მეცნიერულ დისციპლინებთან. მასში კონცენტრირებულადაა განხილული და დახასიათებული საზოგადოებრივი გეოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ბლოკები/ მიმართულებები: მოსახლეობის გეოგრაფია, ეკონომიკური გეოგრაფია, სოციალური გეოგრაფია, კულტურის გეოგრაფია, პოლიტიკური გეოგრაფია. ყურადღება მახვილდება დისციპლინის ისეთ ფუნდამენტურ კატეგორიებზე, როგორიცაა: ტერიტორია, სოციალურ-დემოგრაფიული, სამეურნეო და რესურსული პოტენციალები, გეოგრაფიული მდებარეობა, შრომის ტერიტორიული დანაწილება, საზოგადოების ტერიტორიული ორგანიზაცია, ურბანიზაციია, გლობალიზაცია, განვითარება და სხვა.

კურსის შესწავლა აუცილებელ პირობას წარმოადგენს სტუდენტთათვის სხვა გეოგრაფიული საგნების/კურსების წარმტებული დაძლევისათვის.

* * * * *

კურსი: **მოსახლეობის გეოგრაფია**
ლექტორი: ***სრული პროფესორი გიორგი გოგსაძე***

მოსახლეობის გეოგრაფიის კურსის მიზანია სტუდენტებს მიაწოდოს ცოდნა მოსახლეობის მოძრაობის, სტრუქტურის, დასაქმების და ტერიტორიული განლაგების ძირითადი თავისებურებებისა და კანონზომიერებების შესახებ.

მოცემული კურსი მოიცავს მოსახლეობის გეოგრაფიის 5 ძირითად თემატურ მიმართულებას:

- მოსახლეობის გეოგრაფიის ზოგად-თეორიული საკითხები (მოსახლეობის გეოგრაფიის ცნება, კვლევის საგანი და მეთოდები, კავშირი სხვა მეცნიერებებთან);
- მოსახლეობის რაოდენობის დინამიკა და ბუნებრივი მოძრაობა (მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობის დინამიკის ისტორიული მიმოხილვა, თანამედროვე ტენდენციები, ბუნებრივი მოძრაობის გეოგრაფიული ასპექტები, მოსახლეობის დინამიკის პროგნოზირება, დემოგრაფიული პოლიტიკა);

- მოსახლეობის მიგრაციები (მიგრაციები, როგორც სოციალურ-გეოგრაფიული მოვლენა, მსოფლიო მიგრაციული პროცესების ისტორიული მიმოხილვა, შიდა მიგრაციები, საერთაშორისო მიგრაციები);
- მოსახლეობის სტრუქტურა და მისი გეოგრაფიული ასპექტები (მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, სოციალური სტრუქტურა, ეთნო-ლინგვისტური და რელიგიური სტრუქტურა, შრომითი რესურსები და დასაქმების სტრუქტურა);
- მოსახლეობის განსახლება (განსახლების ძირითადი თავისებურებები და ტიპები, ურბანიზაცია და ქალაქების გეოგრაფია, სასოფლო დასახლებები, მოსახლეობის განსახლება და გეოგრაფიული გარემო).

* * * * *

კურსი: **სოციალური და კულტურის გეოგრაფია**
ლექტორები: ***ასისტენტ-პროფესორი დავით აბესაძე***
ასისტენტ-პროფესორი ბადრი წერეთელი

კურსის ამოცანაა სტუდენტებს გააცნოს საზოგადოების სოციალური და კულტურული ცხოვრების (სფეროების) და მათი ცალკეული კომპონენტების/ელემენტების ტერიტორიული ორგანიზაცია და მისი ტერიტორიულ-ფუნქციური განვითარების კანონზომიერებები; ის ასახავს ადამიანის ბუნებასთან ადაპტაციის ფორმებს და მისი მიზანმიმართული საქმიანობის სხვადასხვა შედეგების ურთიერთკავშირს.

კურსში განხილულია დისციპლინის ფუნდამენტური კატეგორიები: სოციალური სტრუქტურა და სტრატიფიკაცია, ცხოვრების პირობები და წესი, მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი, სოციალური განვითარების პოლიტიკა და მისი გატარების ღონისძიებები, სოციალური უთანასწორობისა და დევიანტური ქცევის გეოგრაფია; კულტურული რეგიონის, კულტურული დიფუზიის, კულტურული ეკოლოგიის, კულტურული ინტეგრაციისა და კულტურული ლანდშაფტის თემები/კონცეფციები.

კურსი: **ეკონომიკური გეოგრაფიის საფუძვლები და მსოფლიო მეურნეობის გეოგრაფია**
ლექტორები: ***ასოცირებული პროფესორი მარინა ბოკერია***
ასოცირებული პროფესორი ნანული კეკელია

სასწავლო კურსი ძირითადი მიზანია ეკონომიკური გეოგრაფიის საფუძვლების შესწავლა და მსოფლიოს მეურნეობის გეოგრაფიის ძირითადი კანონზომიერებების, თანამედროვე მდგომარეობის, პრობლემების და განვითარების პერსპექტივების დადგენა.

კურსი მოიცავს შესავალს ეკონომიკურ გეოგრაფიაში; მსოფლიო მეურნეობის ფგორმირების გეოგრაფიულ საფუძვლებს; სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის გავლენას მსოფლიო მეურნეობის განვითარებაზე; მეურნეობის განლაგებაზე მოქმედ ფაქტორებს; განიხილება ეკონომიკური გეოგრაფიის ძირითადი მიმართულებები: მსოფლიოს ბუნებრივი რესურსების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების გეოგრაფია; კაცობრიობის გლობალური პრობლემები; მსოფლიოს ეკოლოგიური პრობლემების ტერიტორიული ანალიზი; დემოგრაფიული აფეთქების მომავალი; სასურსათო პრობლემები და მისი გეოგრაფიული ასპექტები; ენერგეტიკული პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები და სხვა საკითხები.

* * * * *

კურსი: **ტურიზმისა და რეკრეაციული გეოგრაფიის საფუძვლები, მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფია**

*ლექტორი: **ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი***

მოცემული კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს რეკრეაციისა და ტურიზმის სფეროს ძირითადი ცნებები და ტერმინები, დარგში არსებულ პრობლემები, ტურიზმისა და რეკრეაციული გეოგრაფიის სფეროში არსებული თანამედროვე თეორიები, მეურნეობის ამ დარგის ტერიტორიული განლაგების კანონზომიერებები. ისინი ასევე შეისწავლიან ტურიზმის განვითარების მოკლე ისტორიას, ამ დარგის ძირითად საზოგადოებრივ ფუნქციებს, ტურისტულ–რეკრეაციული მოთხოვნილებების ჩამოყალიბების განმაპირობებელ ფაქტორთა ჯგუფებს, ტურიზმის სახეობებსა და ტერიტორიულ–რეკრეაციული სისტემის შემადგენელ ქვესისტემებს. სტუდენტებს წარმოდგენა შეექმნებათ მსოფლიო ტურიზმის საკვანძო საკითხების, მსოფლიო ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების, მოწინავე ტურისტული რაიონების გამოცდილების, მსოფლიო ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების, ტურიზმის მატერიალური ბაზისა და ინფრასტრუქტურის, ძირითადი ტურისტული ზონებისა და მოწინავე ტურისტული ქვეყნების შესახებ.

* * * * *

კურსი: **ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია**
*ლექტორი: **სრული პროფესორი ზურაბ დავითაშვილი***

კურსის მიზანია უძველესი დროიდან დღემდე მსოფლიოს ისტორიული გეოგრაფიის და თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური გეოგრაფიის ძირითადი საკითხების გაშუქება. კურსის პირველი ნაწილი ითვალისწინებს მთელი მსოფლიოს და მისი ცალკეული ტერიტორიების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესების დახასიათებას და ანალიზს, ამ პროცესების გეოგრაფიული თავისებურებებისა და კანონზომიერებების გამოვლენას. პოლიტიკური გეოგრაფიის ნაწილში კურსი

გულისხმობს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განხილვას როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივ დონეზე – სახელმწიფოთა მართველობის ფორმები, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა; შიდა და საგარეო პოლიტიკურ პროცესთა გეოგრაფია.

* * * * *

კურსი: **მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია**
*ლექტორი: **ასოცირებული პროფესორი ვალერი მელიქიძე***

კურსის მიზანია მსოფლიოს რეგიონებისა და მთავარი სახელმწიფოების კომპლექსური საზოგადოებრივ-გეოგრაფიული დახასიათება და ანალიზი. კურსი მოიცავს ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნების მოსახლეობის, მეურნეობის და ბუნებრივი გარემოს ურთიერთდაკავშირებული ტერიტორიული სისტემების ჩამოყალიბების, ფუნქციონირების, მართვისა და განვითარების საკითხებს. აღნიშნული საკითხები განხილულია განხილულია ისტორიულ და თანამედროვე ჭრილში. კურსი ითვალისწინებს წამყვანი ქვეყნების თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებისა და ტენდენციების სივრცით-დროით ანალიზს.

* * * * *

კურსი: **საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია**
*ლექტორი: **ასოცირებული პროფესორი ნანული კეკელია***

კურსის მიზანია საქართველოს კომპლექსური საზოგადოებრივ-გეოგრაფიული დახასიათება და ანალიზი.
კურსი მოიცავს საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფიის შემდეგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს:

- საქართველოს საზღვრები, ქვეყნის ფიზიკურ- და ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის შეფასება მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე;
- ბუნებრივი პირობები, რესურსები და მათი შეფასება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის;
- საქართველოს მოსახლეობის გეოგრაფია (კვლავწარმოება, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა, შიდა და გარე მიგრაციები, ურბანიზაციის მაჩვენებლების დინამიკა, განსახლების სისტემა).

- საქართველოს მეურნეობის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და გეოგრაფიული ასპექტები, მეურნეობის სტრუქტურა, სპეციალიზაციის დარგები, სატრანსპორტო ქსელი, საგარეო ეკონომიკური კავშირები; ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსი და სოციალური ინფრასტრუქტურის დარგები.
- ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დარაიონება; ცალკეული მხარეების კომპლექსური საზოგადოებრივ-გეოგრაფიული დახასიათება.

* * * * *

კურსი: **პოსტსაბჭოთა სივრცის საზოგადოებრივი გეოგრაფია**
ლექტორი: ***ასოცირებული პროფესორი ნანული კეკელია***

კურსის მიზანია პოსტსაბჭოთა სივრცის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების გეოგრაფიული ასპექტების დახასიათება და ანალიზი.
კურსი მოიცავს პოსტსაბჭოთა ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფიის შემდეგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს:

- პოსტსაბჭოთა ქვეყნების სატრანსპორტო და და ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის შეფასება;
- ბუნებრივი პირობების და რესურსების სამეურნეო შეფასება და მათ მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის;
- სახელმწიფო წყობა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა;
- პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოსახლეობის გეოგრაფია (კვლავწარმოება, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა, შიდა და გარე მიგრაციები, ურბანიზაციის მაჩვენებლების დინამიკა, განსახლების სისტემა);
- პოსტსაბჭოთა ქვეყნების როლი და ადგილი ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში. ამ ქვეყნების მეურნეობის განვითარების განვითარების თანამედროვე ეკონომიკურ-გეოგრაფიული ასპექტები, მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი), საგარეო ეკონომიკური კავშირები.

* * * * *

კურსი: **ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების გეოგრაფია**
ლექტორი: ***ასისტენტ-პროფესორი იოსებ ჩახვაშვილი***

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ახლო აღმოსავლეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიულ-კულტურული და პოლიტიკური ასექტები. გარკვეული ყურადღება ეთმობა ისლამს, როგორც ამ რეგიონის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული განვითარების ფაქტორს. კურსი ითვალისწინებს. როგორც მთელი რეგიონის, ასევე მისი ცალკეული ქვეყნების შესწავლას – მდებარეობა, მართველობა, ტერიტორიული მოწყობა, ბუნებრივი პირობები, რესურსები, მოსახლეობა, მეურნეობა, კულტურა. გარკვეული ყურადღება ეთმობა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ პრობლემებს და მოვლენებს (პალესტინის პრობლემა, ქურთების საკითხი, ნავთობისა და გაზის მრეწველობის როლი რეგიონისათვის და ა.შ.).

* * * * *

კურსი: **ქალაქების გეოგრაფია და გეოურბანისტიკა**
ლექტორი: ***ასოცირებული პროფესორი ვალერი მელიქიძე***

კურსის ძირითადი მიზანია სტუდენტებს გააცნოს ურბანიზაციასთან და ქალაქების განვითარებასთან დაკავშირებული გეოგრაფიული ასპექტები. კურსში განხილულია ქალაქწარმომქმნელი ფაქტორები და ქალაქების დინამიკა ურბანიზაციის თანამედროვე ეტაპზე, ურბანიზაციის როლი განსახლების სისტემის ფორმირებაში; ქალაქების ტიპოლოგია ფუნქციონალური, დემოგრაფიული, მორფოლოგიური და სატრანსპორტო-გეოგრაფიული ნიშნების მიხედვით. კურსი, ასევე ითვალისწინებს ქალაქების ტერიტორიის და მოსახლეობის რაოდენობის ზრდის დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური, გეგმარებითი პრობლემების ანალიზსა და შეფასებას. სტუდენტებს საშუალება ექნებათ შეისწავლონ ურბანიზაციის და ქალაქების განვითარების პროცესის თავისებურებები და კანონზომიერებები მსოფლიოს ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით.

* * * * *

კურსი: **ფიზიკური გეოგრაფია**
ლექტორი: ***სრული პროფესორი ზურაბ სეფერთელაძე***

კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს უმნიშვნელოვანესი გეოგრაფიულ გარემოში მიმდინარე პროცესების ფორმირებისა და განვითარების თავისებურებანი და მსოფლიოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ნომენკლატურა. სასწავლო კურსში განიხილება გლობალური გეოგრაფიულ-ეკოლოგიური პრობლემები, გეოგრაფიული გარსის სტრუქტურა და მისი

განვითარების კანონზომიერებები, ცალკეული კონტინენტების ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, საქართველოსა და კავკასიის ბუნებრივი პირობები და რესურსები, ბიოსისტემა.

* * * * *

კურსი: **ეკონომიკური და სოციალური კარტოგრაფია**
ლექტორი: ***დოცენტი გულიკო ლიპარტელიანი***

კურსის მიზანია სტუდენტები დაეუფლონ ეკონომიკური და სოციალური კარტოგრაფიის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. კურსში განხილულია კარტოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დიაციპლინის თეორიული საკითხები, მისი კავშირი სხვა მეცნიერებებთან, რუკების ტიპიური თემატიკა და მათი შედეგენის მეთოდიკა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თემატური კარტოგრაფიის უახლეს მიმართულებას – გეოინფორმაციულ კარტოგრაფირებას. სტუდენტების მიერ რუკების შედგენის მეთოდიკის დაუფლების მიზნით კურსის პრაქტიკული მეცადინეობების გარკვეული ნაწილი ეთმობა პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას.

* * * * *

კურსი: **ზოგადგეოგრაფიული საველე-საწარმოო პრაქტიკა**
ხელმძღვანელი: ***ასისტენტ-პროფესორი ლუიზა აბაზაძე***

კურსი წარმოადგენს საველე პრაქტიკას, რომელიც მიმდინარეობს ქ. თბილისში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 14 სამუშაო დღის განმავლობაში. პრაქტიკის მიზანია თბილისის და მისი შემოგარენის ზოგადგეოგრაფიული შესწავლა. პრაქტიკის დროს სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ თბილისის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს, განაშენიანების თავისებურებებს, ქალაქის განვითარების და რეკონსტრუქციის გეგმას, სატრანსპორტო და სამრეწველო განვითარების ტენდენციებს, ეკოლოგიურ თემატიკას. პრაქტიკის გეგმით გათვალისწინებულია სხვადასხვა ფიზიკურ-გეოგრაფიული, ისტორიულ-კულტურული, სამრეწველო და სატრანსპორტო ობიექტების მონახულება, შეხვედრები და დისკუსია ცენტრალური და ადგილობრივი დონის მართველობისა და თვითმართველობის ორგანოებში. მოპოვებული ინფორმაციისა და მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე სტუდენტი შეიმუშავებს და წარმოადგენს აღწერილობითი ხასიათის მოკლე ნაშრომს.

* * * * *

კურსი: **რეგიონის კომპლექსური საზოგადოებრივ-გეოგრაფიული შესწავლა (საველე პრაქტიკა)**
ხელმძღვანელები: ***ასოცირებული პროფესორი მარინა ბოკერია და ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი***

კურსი წარმოადგენს საველე პრაქტიკას, რომელიც მიმდინარეობს საქართველოს რომელიმე რეგიონში 14 სამუშაო დღის განმავლობაში. პრაქტიკის მიზანია, რომ სტუდენტებს გამოუმუშავდეთ რეგიონის კომპლექსური საზოგადოებრივ-გეოგრაფიული შესწავლის უნარ-ჩვევები. პრაქტიკის დროს სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაეცნონ მოცემული რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სტრუქტურას, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გეგმას, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სატრანსპორტო განვითარების ტენდენციებს, ეკოლოგიურ პრობლემებს. პრაქტიკის გეგმით გათვალისწინებულია სხვადასხვა დასახლებული პუნქტების, ფიზიკურ-გეოგრაფიული, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სატრანსპორტო და ტურისტული ობიექტების დათვალიერება, შეხვედრები და დისკუსია ადგილობრივი მართველობისა და თვითმართველობის ორგანოებში. მოპოვებული ინფორმაციისა და მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე სტუდენტი შეიმუშავებს და წარმოადგენს აღწერილობით-ანალიტიკური ხასიათის მოკლე ნაშრომს.

* * * * *

კურსი: **მაკროეკონომიკა**
ხელმძღვანელი: ***ასისტენტ-პროფესორი გიგა მაისურაძე***

* * * * *

კურსი: **შესავალი გეოინფორმაციულ სისტემებში**
ხელმძღვანელი: ***ასისტენტ-პროფესორი ვლადიმერ ჩხაიძე***

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში გეოგრაფიაში, ასევე სოციალურ მეცნიერებებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა გეოინფორმაციული სისტემების ტექნოლოგიების გამოყენებამ, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ვიზუალიზაციის საქმეში. ეს ახალი კურსია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის.

კურსის მიზანია:

- თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების კონცეფტუალური საკითხების გაცნობა;
- გეოინფორმაციული სისტემების აგების და გამოყენების პრინციპების შესწავლა;
- სივრცითი ანალიზის მეთოდების გამოყენება ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით;
- პრაქტიკული მაგალითების განხილვა და რეალური შემთხვევების/მცირე პროექტების შესრულება

* * * * *

კურსი: **პოლიტიკური იდეოლოგიები**
ხელმძღვანელი: ***ასისტენტ-პროფესორი*** სალომე დუნდუა

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ის ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიები, რომელთაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს მსოფლიოს განვითარებაზე XVIII საუკუნის ბოლოდან დაწყებული დღევანდელობამდე. კურსის ფარგლებში სტუდენტები გაიაზრებენ იდეოლოგიის არსს; ეცნობიან ისეთ იდეოლოგიებს როგორიცაა ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი, სოციალიზმი, მარქსიზმი, ნაციონალიზმი, ანარქიზმი, ფაშიზმი. სალექციო კურსის შესწავლის შედეგად სტუდენტი მიიღებს ცოდნას მსოფლიოში არსებული წამყვანი იდეოლოგიების წარმოქმნის, მათი ისტორიული განვითარებისა და ტრანსფორმირების, თითოეულის ძირითადი ფასეულობებისა და ურთიერთმიმართების შესახებ.

* * * * *

კურსი: **შედარებითი პოლიტიკა**

ხელმძღვანელი: ***ასისტენტ-პროფესორი ვალერიან დოლიძე***

კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს შედარებითი პოლიტიკის განვითარების ძირითადი ეტაპები და დღევანდელი მდგომარეობა; ძირითადი ცნებები, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ ჩასწვდნენ პოლიტიკის ემპირიულ სინამდვილეს და მის ინსტიტუციონალურ საფუძვლებს; შედარების მეთოდი და მისი გამოყენების თავისებურებანი პოლიტიკურ მეცნიერებში; განუვითაროს პოლიტიკური ემპირიული სინამდვილისა და მისი ინსტიტუციონალური საფუძვლების შედარებით ჭრილში განხილვის პრაქტიკული უნარ-ჩვევები. კურსის შესწავლის შემდეგ სტუდენტებს ეცოდინებათ რა არის შედარებითი პოლიტიკა და რა როლს ასრულებს ის პოლიტიკური სინამდვილის შემეცნებაში; ძირითადი ცნებები, რომელიც მათ საშუალებას მისცემთ გაერკვნენ პოლიტიკის ემპირიულ სინამდვილეში და მის ინსტიტუციონალურ საფუძვლებში; შედარებითი მეთოდი და მისი პრაქტიკული გამოყენება პოლიტიკის ემპირიულ რეალობაში ორიენტირებისათვის. სტუდენტებს გამოუმუშავდებათ პოლიტიკის ინსტიტუციონალური საფუძვლების შედარებით ჭრილში ანალიზის პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

სტუდენტებს საგნების სილაბუსების გაცნობა შეუძლიათ თსუ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით (ადმინისტრაციული რეგისტრაციის შემდეგ, სახელის, გვარის, და პაროლის მითითებით):
http://sms.tsu.ge